საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

№ 323 19.. ხუთშაბათი, სექტემბერი 5

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ადბულახში არეულობა. ფინლანდიაში ორი კვირის შემდეგ მეფის არჩევნები მოხდება ლენინის მდგომარეობა სერიოზულია. ბაქოში ქართველებს ავიწროებენ.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

კვირას, სექტემბრის 8-ს ნაშუადღევის პირველ საათზე დაბ. ბაღდათში, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

პანტელეიმონ საბას ძე

და ათი წლის წირვა და პანაშვიდი

მელიტონ ამბაკოს ძე კვირიკაძეებისა

რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ თედო ამბაკოს ძე კვირიკაძე. 945

ტრაგიკულად აღსრულებულის პორუჩიკ

დათიკო წერეთლის

მშობლები გულითად მადლობას სწირავენ ყველას, ვინც მათ ამ დიდი უბედურების გამო სიტყვით, წერილობით თუ დეპეშით თანაგრძნობა და სამძიმარი გამოუცხადა. 946

ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილების მოხელეები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს

ივანე გიორგის ძე ცაგაძის

უდროოდ გარდაცვალებას, გამოსვენება ბინიდან, (ახალციხის შესახვევი № 6) 10 საათზე დილით, ხუთშაბათს, კუკიის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 949

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ

**ენკენისთვის 15-ს ტფილისში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის დელეგატთა**

## კონფერენცია

განსახილველი საკითხები: 1. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. 2. აგრარული საკითხი. 3. მოხსენებანი ადგილებიდან. ყოველი 150 წევრი პარტიისა ირჩევს ერთს დელეგატს, სადაც ნაკლებ აღმოჩნდება—იქ 100 აირჩევს. მეზობელ მცირე ორგანიზაციებს შეუძლიანთ არჩევნებისათვის შეერთება.

## ქართული უნივერსიტეტი

ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27-ს გამოცხადდა:

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად**

უკვე არსებული სიბრძნის მეტყველების (საისტორიო-საფილოლოგიო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები.

სტუდენტებად მიიღებიან: 1) ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომლო და სააგრონომიო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებლები, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგოლიანთა და სამასწავლებლო სემინარიები 1918 წელზე უფრო ადრე კურს დამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მეტყველების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზედ მიიღებიან.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ნამეტურ ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა.

მსმენელად ჩაწერისათვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საჭიროა მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შეტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქნეს შემოტანილი. უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირა-უქმეებისა. თხოვნა მიიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება ოქტ 1-ს.

ფოსტით: ტფილისი, ვაკე, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**უნივერსიტეტის გამგეობა.** 9218



ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

**დღეს**, ხუთშაბათს სექტემბრის 5-ს

„შემოდგომის სეზონის“

გახსნის მეორე დღეს გაიმართება **დიდი გასტროლი** ვე ვიპტელ ალისა. მონაწილეობენ აგრეთვე ზინკოვსკები და სხვა საუკეთესო მსახიობები

დასაწყისი 8 ნახ. ს. დასასრული 11 საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი ა. ელიზაროვი. 439

ტფილისი, სექტემბრის 5

**კიდევ ახალი მკვლელობა**

მკითხველი საზოგადოება და ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ მთავრობაც — უეჭველია ყურადღებას მიაქცევდა ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციას ხაშურიდან. კორესპონდენტი გულის ამღვრევ სცენას აგვიწერს: „მაგალითი ბევრია, მაგრამ ყოველივე დაჩრდილა აგვისტოს 26 მომხდარმა გულშემზარავმა ამბავმა. ამ დღეს, დაახლოვებით 10 საათზე ადგილობრივ (ხაშურის) კომისარის სამართველოს ეზოში ვერაგულად მოჰკლეს ტ. ჯაფარიძე, რომელიც მხოლოდ იმაში იყო დამნაშავე, რომ ეროვნულ დემოკრატიას უწოდებდა თავს. კერძო შურისძიების დასაკმაყოფილებლად ერთი თვის წინად მის ბინაზე მიიჭრა სამი გვარდიელი, თოფიც დაახალეს, მაგრამ განწირული ჯაფარიძე რაღაც სასწაულით გადარჩა. გვარდიელებს ცოტა ხნით იარაღი აჰყარეს და არავითარი ზომები არ მიუღიათ მოქალაქის პიროვნების დასაცავად. აგვ. 26 ჯაფარიძე მოიწვიეს კომისარიატის შენობაში, აქვე ბრძანდებოდნენ მისი „მეგობრები“. მათ შორის ძველ ინციდენტის შესახებ ყოფილა ლაპარაკი რის შემდეგ ჯაფარიძეს დაუტოვებია კომისარიატი და სახლისაკენ გამომგზავრებულა, მაგრამ ამ დროს გავარდა საბედისწერო ტყვია და შუბლ განგმირული ჯაფარიძე მიწაზე გაიშხლართა. მკვლელი კი წყნარი ნაბიჯით გაუდგა გზას. კომისარიატის ეზო სავსე იყო მილიციონერებით, აქვე იყო მილიციის უფროსი ვ. ციციშვილი, რაიონის კომისარი, ქალაქის კომისარი და სხ. თანამდებობის პირნი, მაგრამ მკვლელი მაინც ვერ შეიპყრეს“...

ასეთია დაახლოვებით კორესპონდენცია. ასეთი ამბავი მოგვდის ისეთ დიდ რაიონიდან, როგორიც არის ხაშური, ასეთი ამბავი ხდება დღისით, თითქმის მთავრობის ორგანოების წინაშე, სრულიად გაუსამართლებლად, უტიფრად, საზიზღრად.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ზომებია მიღებული ამ საქმისათვის შინა საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მხრივ, მაგრამ რანაირი ზომაც არ უნდა იყოს მიღებული, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია მიუთითოთ ვისაც ჯერ არს, არა მარტო იმ პირების პასუხისმგებლობა, რომელნიც პირდაპირ სჩადიან დანაშაულს, არამედ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ბატონ კომისრების უპასუხისმგებლობის შესახებ.

ამ ბოლო დროს როგორღაც დამკვიდრდა ფრიად სამწუხარო ჩვეულება. გამოუსადეგარი კომისრები მთელი რიგი ბოროტებისა და უყურადღებობის შემდეგ მხოლოდ იმით აღწევენ თავს სასამართლოს განაჩენს, რომ ადგილებიდან ითხოვენ შეუფერებლობისათვის. არავინ არის იმის გამომძიებელი და მკითხავი, რომ კომისრები პასუხისმგებელნი არიან მთავრობის წინაშე, როცა ისინი საქმეს ხელს ჰკიდებენ და დაკისრებულ მოვალეობისათვის კომისარს სასტიკი პასუხი უნდა მოვსთხოვოთ თუ იგი დანავალებს ვერ შეასრულებს, ან არ შეასრულებს. კომისართა პასუხისმგებლობა—აი აუცილებელი გარანტია, რომ რაიმე საფუძველი შეიქმნეს ჩვენში წესიერებისათვის—ვინ არ იცის, რომ დღემდე საქართველოში ადგილი ჰქონდა უამრავ ბოროტმოქმედებას და ამ ბოროტმოქმედებისათვის განა რომელიმე კომისარი დაისაჯა?

რად გვინდა, ან ვის უნდა კანონი თუ მას კომისარი არ იცნობს, თუ მის სიმძიმეს არ გრძნობს თვითონ კომისარი? ჩვენ მოვითხოვთ კომისრებისათვის სასტიკ სასჯელის და დისციპლინის შემოღებას ყოველ წვრილმანისათვის, ყოველ დებულების შეუსრულებლობისათვის და ამ მხრივ მთავრობის თვალყურის ქცევა პედანტიზმით უნდა იყოს გამსჭვალული.

ხაშურის საზარელი დრამა ჩვენი ასეთი მოუწყობლობის ერთი მოვლენაა. სადაც კომისართა თავ-აშვებულებაა იქ ხსენებული დრამები არ მოისპობიან და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, სანამდი უნდა ვხედავდეთ ჯაფარიძეების, ვიზირიშვილების და რუსაძეების სისხლის წურწურს?

## მთავრობა და თვითმართველობა.

სახელმწიფოს შენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმართველობას, ამიტომ ადგილი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოში ადგილობრივ თვითმართველობას, ცენტრის და პროვინციის ურთიერთობა, მთავრობის და ალაკობრივ ორგანოების დამოკიდებულება—ეს ყოველივე ერთი ძირითად საკითხთაგანია სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. კარგი საერობო და საქალაქო თვითმართველობა უტკიცესი ბურჯია სახელმწიფოს სიმკვიდრისა და საზოგადოებრივი წესიერებისა. მხოლოდ მაშინაა, სახელმწიფოს არსებობა უზრუნველყოფილი, როცა ზურგს უმაგრებენ პროვინციული ორგანიზაციები. მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სიმშვიდეზე, როცა სოფლად და ქალაქად გაჩნდება ადგილობრივ ინტერესების დამცველი და ცხოვრების მომწესრიგებელი, როცა ყოველ კუთხეში შეიქმნება მართველობა ადგილობრივ ძალებზე დამყარებული და ცენტრის მისწრაფებას ყოველთვის სათანადოთ გამოეხმაურება ყოველი პროვინცია.

საქართველოს რესპუბლიკის დასამკვიდრებლად, ანარქიის მოსასპობად, სახელმწიფოებრივი აპარატის გასამართავად და ათასნაირ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებით ვიზრუნოთ თვითმართველობის მოსაწყობად და რაც შეიძლება მალე უნდა განვახორციელოთ ერობა, მუშაობა ამისთვის უკვე დაწყებულია, არჩევნები ხდება ბევრგან. უნდა დავაჩქაროთ მხოლოდ და მოვაწყოთ იქაც, სადაც აქამდის შეჩერებული იყო. მაგრამ ეს არ კმარა. დღემდის არა გვაქვს საერობო დებულება. კავკასიის მთავრობის გამოცემული არ გამოგვადგება, უნდა შეიცვალოს, გადაკეთდეს, ახალი გამოიცეს.

საერობო თვითმართველობის კანონის შემუშავების დროს ჩვენი სახელმძღვანელო აზრი ის უნდა იყოს, რომ არ დაუპირდაპიროთ ერობა სახელმწიფოს და არ წარმოვიდგინოთ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტად, ჩვენი შეხედულება ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს წმინდა დემოკრატიული, რომლის მიხედვით სახელმწიფოებრივ გამგებლობასა და ადგილობრივ თვითმართველობის გამგებლობას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. საერობო და საქალაქო თვითმართველობაც ამნაირივე სახელმწიფო საქმეა, როგორც სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოების მუშაობა, ხოლო ფარგალი ერთისა უფრო ვიწროა, მეორესი უფრო ფართო. ერობის ხმოსნები, საყოველთაო საარჩევნო წესით არჩეულნი, ისევე არიან აღჭურვილნი ხალხის ნდობით, როგორც დეპუტატები. საერობო კრება ისეთივე კრებულია, როგორც პარლამენტი. ამიტომ მთელი გადამწყვეტი და აღმასრულებელი ძალა-უფლება ადგილობრივ თვითმართველობაში უნდა ეკუთვნოდეთ ადგილობრივ არჩეულ პირებს, და სამუდამოთ უნდა დავგმოთ ძველი ბიუროკრატიული სისტემა, რომლის ძალით ადგილობრივი თვითმართველობა საზოგადოებრივ ძალებს ემყარება, სახელმწიფო კიდევ სხვა ძალებს და მათ შორის მუდმივი ქიშპობა და ბრძოლაა.

ერობა და ქალაქის თვითმართველობა სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებენ და ცენტრალურ მართველობასა და მათ შორის მუდამ შრომის შეთანხმებული განაწილება უნდა არსებობდეს. დემოკრატიზმის საფუძველია, რომ საქმეს უძღვებოდეს და განაგებდეს ის, ვისაც ეს საქმე ყოვლის უწინარეს შეეხება, ვინც ყოვლის მეტად დაინტერესებულია ამ საქმით. გარედან გამგებლობა და ბრძანებლობა დემოკრატიულ, ნამდვილ თვითმოქმედების და თვითმართველობის იდეას არ ეგუება და მუშაობის ნაყოფიერობის მიზანშეწონილობის წინააღმდეგიცაა ადგილობრივ საქმეებს ისე ვერავინ გამართავს, როგორც ის, ვინც ადგილობრივ პირობებს იცნობს და ადგილობრივ ცხოვრების სიავკარგეს პირადად განიცდის. ეს შეეხება ყველაფერს, ცხოვრების ყოველ დარგს, როგორც ეკონომიურს ისე პოლიტიკურს და კულტურულს.

ამ პრინციპის მიხედვით საუკეთესო სახელმწიფო წესწყობილება მაშინ გვექნება საქართველოში, როცა ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცევა პატარა ფედერაციად და როცა ყოველი მაზრა ავტონომიურად დაიკმაყოფილებს თავის ადგილობრივ საჭიროებას და თვით გაუძღვება თავის ყოველ დარგის საქმეს ეს იქნებოდა უდიდესი ეკონომია შრომისა და სრული გამოყენება ძალებისა, ნიჭისა და ცოდნისა. სამაზრო ერობა უნდა შეიქმნეს ადგილობრივ პარლამენტად და მისი რწმუნებულები, როგორც მინისტრები, უნდა განაგებდნენ ყოველ ადგილობრივ საქმეს, ადმინისტრატიულს, სამეურნეოს თუ სხვას. საქართველო უნდა შესდგებოდეს თვითმართველ, ავტონომიურ მაზრებისაგან მაშინ შევსძლებდით სრული ენერგიის გამოჩენას და საუკეთესოდ დავიკმაყოფილებდით ყოველს საჭიროებას.

ეს უნდა იყოს ჩვენი პრინციპიალური ძირითადი შეხედულობა.

რამდენად უნდა შევუფარდოთ ეს ჩვენს სინამდვილის აწინდელ ვითარებას,—ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

**სამ. ფირცხალავა.**

## მთავრობაში

გ. ხუნდაძის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) მიეცეს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს რუსეთის მთავრობასთან გ. ხუნდაძეს რწმუნების სათანადო ბარათი. 2) დადგენილ იქმნას, რომ თუ რუსეთის მთავრობა არ იცნობს ჩვენს წარმომადგენელს, არც საქართველოს მთავრობა იცნობს რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში. 3) დაევალოს ხსენებულ ხუნდაძეს წარმოუდგინოს მთავრობას შემდეგ სხდომისათვის რუსეთში ჩვენი წარმომადგენლობის შტატები და შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვა.

—

ადერბეიჯანის წარმომადგენლებთან ხელშეკრულობაზე ბონების შესახებ, მთავრობის საქმეთა მართველის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მოწონებულ იქმნას ხელშეკრულობის პროექტი იმ მუხლის გამოკლებით, სადაც ნათქვამია, ბონების პასუხისმგებლობის განაწილების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქმნეს ხარჯები, რომლებიც გასწიეს სამივე სახელმწიფომ სხვა და სხვა საერთო დაწესებულებათა ლიკვიდაციაზეო.

—

გზათა მინისტრის მოხსენებით რკინის გზის მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) საქართველოს რკინის გზის ყველა მოსამსახურეს და მუშებს მოუმატოს სიძვირის გამო თვიურად 240 მანეთი, თითოს ამა წლის აგვისტოს პირველიდან. 2) ყველა პრივილეგია, რომელიც მინიჭებული აქვთ რკინის გზის მოსამსახურეთ და მუშებს, დარჩეს უცვლელად, ხოლო პურის მიცემა ათ შაურად

გირვანქა მათ მოესპოს. 3) გამოეცხადოს ხსენებულ მოსამსახურეთ და მუშებს, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს შეიძინოს პური და მისცეს მათთვის ღირებულობის კვალობაზე. 4) გაეხსნას გზათა სამინისტროს შესაფერი სესხი. 5) ეს დადგენილება წარედგინოს ეროვნულ საბჭოს კანონ-პროექტის სახით.

## უკანასკნელი ცნობები

**ალხულახი.**

აქაურ მძარცველთა ასალაგმავად გაგზავნილ მცირე რაზმს, რომელსაც პოლკოვნიკ ბოლღაშვილი მეთაურობდა—დახვედრია ორი ათასამდე შეიარაღებული რუსი და სომეხი. ჩვენებისათვის უკან დაუხევინებიათ. ბრძოლის დროს ჩვენებს დაჰკარგვიათ ერთი ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი. დაჭრილია როტის უფროსი კურცხალია, პორუჩიკი დგებუაძე და ერთი ჯარისკაცი. მოკლულია ჯარისკაცი ხოჯაშვილი.

სასწრაფოდ გაიგზავნა ჯარი ბრბოს ასალაგმავად.

სოფ. ვარხუნის და ალექსეევკის მცხოვრებლებმა მორჩილება განაცხადეს და იარაღს აბარებენ.

## ეროვნული საბჭო

**სექტემბრის 3-ს კრება**

კრება იწყება დღის 1 საათზე. თავმჯდომარეობს **ი. ბარათაშვილი.**

დღიურ წესრიგის ფურცელზე შემდეგია აღნიშნული: 1) ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების შესახებ. საბოლოო ტექსტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. 3) საბოლოო ტექსტი ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორების კანონისა. 4) საბოლოო ტექსტი ქალ. ჭიათურის სასარგებლოდ შავი ქვის გადასახადის გადიდების კანონისა. მომხსენებელი შ. ამირეჯიბი. 5) საბოლოო ტექსტი საკლავ საქონლის აწინდელ გადასახადის გადიდების კანონისა, 6) მსჯელობის გაგრძელება—განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების კანონპროექტის შესახებ. მომხსენებელი ნ. ცინცაძე, 7) საბჭოს წევრის ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პური და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ—საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ.

**თავმჯდომარე** კრებას გახსნილად აცხადებს.

**შ. ამირეჯიბი** კითხულობს ცნობას კომისიებში გადასაცემ კანონპროექტისას და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონის საბოლოო ტექსტს. კრება კანონის ტექსტს ზოგიერთ შესწორებით უკამათოდ ამტკიცებს. კრება ამტკიცებს აგრეთვე კანონპროექტს ჭიათურის შავი ქვის გადასაზიდ ტარიფის გადიდების შესახებ, რომლის ძალითაც რკინის გზით გადასაზიდ შავ ქვას ფუთზე არსებულ ნახევარ კაპეიკის მაგიერ ერთი კაპეიკი ბაჟი უნდა დაედოს. ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორება და საკლავ საქონლის აწინდელ გადასახადთა გადიდების შესახებ დამტკიცება-მიღების შემდეგ კრება გადადის განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და შტატების კანონ-პროექტის შესახებ მსჯელობის გაგრძელებაზე.

**აკაკი ფალავა** (ს.-ფ.) წარსულ კრებაზე ჩემი სიტყვა სწორედ ვერ გაიგეს საჭიროდ მიმაჩნია გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გარკვევით მოგახსენოთ რის თქმაც მინდოდა, საქმე ის არის, რომ ჩვენ მუდამ და ახლაც დეცენტრალიზაციის პრინციპს ვიცავდით მაგრამ დღევანდელმა აუცილებლობამ გვაიძულა ზოგიერთი კომპრომისი და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებამდე ზოგიერთ პრინციპის განსახორციელებელ საშუალების დროებითი შეცვლაც, ამიტომ ვიცავდი იმ აზრს, რომ დღევანდელი სასკოლო მართვა-გამგეობა ჯერჯერობით ცენტრიდან უნდა სწარმოებდეს.

**ნ. ცინცაძე** (ს.-დ.) წარსულ კრებაზე დასმულმა პრინციპიალურმა კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო, რაც მე პირადად ძლიერ მაკვირვებს. შესწორება, რომელიც წარსულ კრებაზე ლომთათიძემ შემოიტანა უმთავრესად პრინციპიალური საკითხი იყო და მე მგონია, არ უნდა ყოფილიყო ასეთი გამწვავების მიზეზი. განათლების სამინისტროს სკოლები ადგილობრივ თვითმართველობებს უნდა გადაეცეს—თუმცა მე ვფიქრობ, ამ პრინციპის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მე მინდა შევეხო ბ. არჩილ ჯაჯანაშვილის აზრს, რომელიც წარსულ კრებაზე გამოსთქვა და მერე გაზეთშიაც გადაიტანა, სადაც ჩვენ დოგმატიკოსობას გვისაყვედურებდა. თითქოს ჩვენ პედაგოგიურ დოგმად გადაგვქცეოდეს ასეთი პრინციპი ჯაჯანაშვილის სიტყვით პედაგოგიურ კოლეგიის ავტონომიამდე უნდა მივიდეთ მას ეს შესაძლოდ მიაჩნია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ მტკიცე ცენტრალური აპარატი შეიქმნება, ეს მოუხერხებელია. ბ. არჩ. ჯაჯანაშვილი ფიქრობს, რომ ეს ავტონომია დემოკრატიზმთანაა დაკავშირებული. ეს ასე არ არის, ავტონომია შეჰქმნის ზღუდეს, რაიც დააშორებს დემოკრატიზმს და პედაგოგიკას. მე ვფიქრობ, რომ ჯაჯანაშვილის აზრი სოც.-ფედერალისტთა აზრი არ არის, რადგან ამ აზრს მისი ამხანაგები სხვაგვარად ასაბუთებენ. ბ. დიტო უზნაძე სხვა წამალს ეძებს და ცენტრალიზმის გზით დეცენტრალიზაციისაკენ მიდის. ეს რასაკვირველია უტოპიაა. მესამე ორატორი სამსონ ფირცხალავა თუმცა არსებითად ემხრობა დეცენტრალიზაციის პრინციპს, მაგრამ წარსულ კრებაზე მისი გამოთქმული აზრი უფრო განსხვავებული და მისაღებია.

ბ-ნი განათლების მინისტრი ფიქრობს, რომ სკოლების თვითმართველობისათვის გადაცემა სადავოა. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი სასწავლებლები ევროპაში, დემოკრატიულად მოწყობილ სახელმწიფოებში და თვით გერმანიაშიც კი, თვითმართველობათა ხელშია, რადგან ამას თვით პედაგოგიკის პრინციპი მოითხოვს. ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში აი მაგალითად ამ ნგრევის დროს ყველა სამინისტრო სკოლები დაინგრა, მაგრამ ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებელს კი ვერაფერი დააკლო დღევანდელ სკოლათა გარდაქმნამ. მაშასადამე საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მოწყობილ სახელმწიფოთა პრაქტიკა და აგრეთვე შინაური გამოცდილება და გადავდგათ ასეთი ნაბიჯი—სასწავლებლები ამ თვითმართველობებს უნდა გადავცეთ. სულ სხვა საკითხია ეს განხორციელდება თუ არა ჩვენ პრინციპი უნდა დავიცვათ.

**ა. ლომთათიძე** (ს.-დ.) კითხულობს წარსულ კრებაზე შეტანილ შენიშვნას.

**აკ. ფალავა.** სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მუდამ დეცენტრალიზაციის მომხრე იყო, მაგრამ ვინაიდან საკითხმა პრინციპიალური ხასიათი მიიღო, ვაცხადებ, რომ სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია ამ შემთხვევაში მხარს დაუჭერს მთავრობის რედაქციას.

კენჭის ყრით (23 ხმით 18 წინააღმდეგ) კრებამ მიიღო შესწორებული რედაქცია.

(მეშვიდე მუხლი იწვევს შენიშვნებს და თავმჯდომარე კენჭს უყრის. მიღებულია).

მეშვიდე მუხლის შენიშვნა ე) კამათის საგნად ხდება.

**ფაჩუაშვილი** ჩვენი ფრაქცია მოითხოვს აღნიშნული შენიშვნა ამოღებულ იქმნას კანონიდან.

**შ. ქარუმიძე.** ეს-ერების განცხადება კვლავ გვიმტკიცებს, რომ ჩვენი მთავრობა გამოცდილების მიხედვით არა მოქმედებს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერობა ჯერ მოწყობილი არ არის, თუნდაც იყოს—მას პირველ დაბადების დღიდან არ შეიძლება ჩავაბაროთ ასეთ პასუხსაგები საქმე. ჯერ მან უნდა გაიაროს ერთგვარი სკოლა, რომ მერე შეეძლოს სასწავლებლების ჯეროვანი გაძღოლა. მაშასადამე ერობა არ იძლევა ისეთ იმედს, რომ სასწავლებლები ჩავაბაროთ. რაც შეეხება ქალაქთა გამგეობებს, არც ერთი ქალაქის გამგეობა არ არის, რომელსაც პირნათლად შეესრულებიოს ნაკისრი მოვალეობა; აი, თუნდ ტფილისისა. ტფ. ქალაქის გამგეობა უკანასკნელი ტრიბუნაა, საიდანაც გაისმის ხმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მაშასადამე, როგორ შეიძლება მას გადაეცეს ასეთი რთული საქმე. ცინცაძე ამბობს, ტფ. ქალაქის გამგეობა კარგად უძღვება სასკოლო საქმეებსაო—გაიხსნაო მეხუთე გიმნაზია. ბევრია მწარე გაკვეთილები. აი, თუნდ ბატონი განათლების მინისტრი მოგიყვანთ მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორი არევ-დარევაა ზუგდიდის მაზრაში სასკოლო საქმეთა გამო, თუ როგორ მოიწვიეს სასკოლო საქმის უფროსად ისეთი კაცი, რომელსაც მასწავლებლობისაც კი არაფერი გაეგება და სხვა მრავალი. ყველა ამის მიხედვით ჩვენ მოვითხოვთ დარჩეს ამ კანონის მუხლი ისე, როგორც განათლების სამინისტროს აქვს წარმოდგენილი.

**განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი.** წარსულ კრებაზე აღძრული საკითხი სასწავლებელთა ავტონომიის შესახებ კვლავ მსჯელობის საგნად არის გადაქცეული. უნდა განვაცხადო, რომ ეს კანონი ჯერ შემუშავებული არ არის და მხოლოდ ეხლა შემუშავდება. განათლების სამინისტრომ ამის შესახებ უნდა წარმოადგინოს დებულებები. იქნებ ვერ შევთანხმდეთ, მაგრამ კამათიც მაშინ შეიძლება, როცა აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი იქნება.

**ნ. ცინცაძე.** შ. ქარუმიძის ასეთი გამოსვლა არ მესმის. არ მესმის იმიტომ, რომ ის საკითხი სულ არ ყოფილა, რის შესახებაც ის გვეკამათება, მაგრამ მან ისარგებლა და უნდობლობა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას. ქალაქის თვითმართველობა უფრო მეტ ყურადღებას პირველ დაწყებით სასწავლებელს აქცევდა და არა ცდილობდა დაბალ სასწავლებლების ხარჯით მე-5 გიმნაზია შეენახა. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ გიმნაზიას სათანადოდ ვერ გაუძღვა. ასევე არ მოქცეულა იგი პირველ დაწყებითი სასწავლებელთა გაძღოლაში მაგრამ შ. ქარუმიძემ საკითხი ყირამალა გადაატრიალა და გული მოიფხანა.

შემოდის წინადადებები. მონაწილეობენ ფაჩუაშვილი, ჭიაბრიშვილი და სხვ. კენჭის ყრით სწყდება მე-7 მუხლიდან მე-5 შენიშვნა სავსებით გამოტოვებულ იქმნას.

განათლების სამინისტროს შტატების რიცხვის შესახებ.

**განათ. მინ. გ. ლასხიშვილი.** წარსულ კრებაზედაც მოგახსენეთ და ეხლაც უნდა გავიმეორო, რომ განათლების სამინისტროს შტატის შემცირების დროს ჩვენ მხედველობაში [illegible] რა მოველოდა [illegible] უქმების შემდეგ [illegible] საგანათლებო საქმეები გავანაწილეთ, აღმოჩნდა რომ ადერბეიჯანსა და სომხეთის შემდეგ ამ საქმეთა სამ მესამედზე მეტი ჩვენა გვხვდა წილად. ამიტომ ვაცხადებ, რომ ახლო მომავალში კვლავ დაგვჭირდება სამინისტროს შტატების გადიდება.

კრება ამტკიცებს არსებულ შტატების მიხედვით შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვას.

**ცინცაძე.** კითხულობს დადგენილებას ამიერკავკასიის სამოსწავლო კომისარიატის და დირექციების ამა წლის ივლისის პირველიდან გაუქმების შესახებ, რაც უკვე სისრულეში მოყვანილია. კანონ-პროექტი შესწორებებით მიღებული და დამტკიცებულია.

ა. ახმეტელის შეკითხვის შესახებ **თავმჯდომარე** კითხულობს გზათა მინისტრის წერილს: ვინაიდან ადერბეიჯანის და სომხების წარმომადგენლებთან საგზაო საქმეთა გამო კრება მაქვს, ამიტომ ვერ ვეწრები შეკითხვის განხილვას, და სასურველი იქნება თუ საბჭო ამ შეკითხვას ჩემს თანადასწრებით განიხილავსო.

**ა. ახმეტელი.** კრებას წინადადებას აძლევს ამ შეკითხვის გასარჩევად ცალკე დღე დაინიშნოს.

**ა. ლომთათიძე** მე წინააღმდეგი ვარ განსაკუთრებულ დღის დანიშვნისა, რადგან არ ვიცით, რა შინაარსს შეიცავს ახმეტელის შეკითხვა. ჯერ შინაარსი უნდა გავიგოთ და შემდეგ კრება, როგორც საჭიროდ დაინახავს, ისე მოიქცევა.

კრება ადგენს ახმეტელის შეკითხვა მორიგ კრებაზე გაირჩეს.

## ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი**

**ბერლინი 7—2.** კრონპრინც რუპრეხტისა და ბოინეს ლაშქარი. ლისის ორსავე ნაპირას მოწინავე ხაზების წინ ბრძოლაა. სომასა და სკარპს შუა ინგლისელებმა 45 კილომეტრით გაშალეს ფრონტი და შეტევა განაგრძეს, მაგრამ ჩვენ არტილერიის საშუალებით შევაჩერეთ იგი. ქვეითა ჯარი იბრძოდა განსაკუთრებით გენდეკურტსან და ხორეისთან და ბაპომის აღმოსავლეთით ნენეკურტსა და ბუშევენს შუა.

ჩვენ გავრეკეთ მტერი, რომელიც გენეკურტის ჩრდილოეთით კაგენკურტში სცდილობდა გამაგრებას. ხორეისთან ბრძოლა დიდ-ხანს გაგრძელდა, ეს ადგილი ჩვენს ხელში დარჩა. ჩვენ მოვიგერიეთ ჯავშნოსნების იერიშები ვო-ვრო-

## შრომის გაბატონება

კულტურულ-ინტენსიურ მეურნეობის ქვეყანაში—გერმანიაში სამეურნეო იარაღები და მუშა საქონელი, პირუტყვი უმთავრესად ემორჩილება წვრილი მეურნეობის გავლენას, **მიწის მუშის ფიზიკური ენერგია ბატონი ხდება მეურნეობის ხსენებულ ძალებზე,** კაპიტალის ტენდენციით კი არ ხდება კონსოლიდაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არამედ შრომის ინტერესების და ზეგავლენის თანახმად. სოფლის კაპიტალიზაცია ხდება შრომის გაბატონების მიხედვით და ამ აუცილებელ ტენდენციას ჩვენ მიწის მფლობელობის ისტორიაც გვაჩვენებს. ედ. დავიდის გადმოცემით გერმანიაში 1873 წლიდან 1893 წლამდე სახნავი და ბაღის მამული გადიდდა 180 ათას ჰექტარით, ის სახნავი ადგილი, რომელსაც იყენებდნენ საძოვრისათვის შემცირდა 3,8 მილიონ ჰექტარიდან 2,7 მილიონ ჰექტრამდე, ასე რომ 1873 წელს სახნავ და საბაღოსნო მეურნეობას ეჭირა 1,2 მილ. ჰექტარით მეტი მიწა ვიდრე 1878 წელს. 1909 წელს შაქრის მისაღებ ჭარხალს ეჭირა 397 ათასი დესეტინა, 1913 წელს კი—498 ათასი დეს. მოსავალი გაიზარდა 1820-დან 2040 ფუთამდე. სასარგებლო წარმოების გაჩაღებით მეურნეობის ძალთა ფაქტორები წვრილ ერთეულების ხელში გროვდება. მუშა საქონლის ვითარება ჩვენ აღვნუსხეთ ზემოდ. აქ მოკლედ ვიტყვით დავიდის ცნობას: გერმანიაში 12 ჰექტარიან მეურნეს ყოველ ას ჰექტარზე მეტი ცხენი მოდიოდა ვიდრე 500 ჰექტარიანზე, ხოლო სამჯერ ნაკლები ხარი ვიდრე 1 ჰექტარიანზე, 1 ჰექტარ ანს 32 ჯერ მეტი ღორი უწევდა ვიდრე +500 ჰექტარიანს: *) ედ. ბერნშტეინი გადმოგვცემს, რომ პრუსიაში 22.875000 ჰექტარი გლეხ-კაცობის ხელშია, საერთოდ გერმანიაში 1882 წლიდან თან და თან ძლიერდება გლეხ-კაცობის წვრილი და საშუალო მეურნეობა.**) წვრილ და საშუალო მეურნეობის განვითარება სწორედ იმ სახით მიმდინარეობს, როგორც ჰოლანდიაში, ფინლანდიაში, გერმანიაში ცუდი სახნავ-სათესი ადგილებიც შედის მეურნეობის ფარგალში, მაგრამ წვრილი მეურნეობის საშუალებით მიწის მუშა საუცხოოდ იყენებს ცუდ მიწასაც ფრიდრიხ ჰერცს მოჰყავს დავიდის ცხრილი და ჩვენც გავიცნოთ ეს ძლიერ საინტერესო ცხრილი, რომელიც აშკარად გვანახებს მიწის მფლობელობის ზრდას იმდენად, რამდენადაც იზრდება წვრილი მეურნეობა. ასე:

| სად? | 100 ჰექტ. მიწაზე საშუალოდ მოდიოდა: 20 ჰექტ. ნაკლ. | 20-100 ჰექტ. | +100 ჰექტ. | მოსავალი 1 ჰექტ. ორმ. ცენტ.: ჭვავი | ქერი | კარტოფ. | თივა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აღმ. პრუსიაში | 28,31% | 28,60% | 34,26% | 12,6% | 8,6% | 79,1% | 19,30% |
| ვესტფალიაში | 78,03% | 19,83% | 2,14% | 12,7% | 11,4 „ | 93,0 „ | 40,4 „ |
| ბადენში | 84,38% | 12,56% | 3,06% | 12,6% | 11,9 „ | 84,6 „ | 41,0 „ |
| ბავარიაში | 83,34% | 11,77% | 4,89% | 16,3% | 16,0 „ | 107,3 „ | 36,7 „ |
| საქსონიაში | 55,50% | 30,48% | 14,1% | 19,1% | 14,4 „ | 108,0 „ | 29,8 „ |

დააკვირდით[44]) ცხრილის სვეტს და მაშინვე დაინახავთ, რომ მოსავალი იქ უკეთესია, სადაც წვრილი მეურნეობაა სადაც მსხვილ კაპიტალს არ ჩაუყლაპავს შრომის ძალა. აღნუსხულ ცნობაში ველაზე მეტად წვრილი სასოფლო მეურნეობა განვითარებულია ბადენში, ჰესენში, ვიურტემბერგში და სწორედ აქ არის უკეთესი ხორბლეულობის და თივის მოსავალი, ვიდრე მაგალითად აღმოსავლეთ პრუსიაში და რამდენიმედ საქსონიაში, სადაც თანამედროვე კაპიტალისტური კულტურა უფრო ფეხ-მოკიდებულია ვიდრე სადმე ევროპაში, ინგლისს გარდა. წვრილი მეურნეობის გამრავლება და ეკონომიურად გაძლიერება იწვევს პროლეტარულ ელემენტების შემცირებას და აი გერმანიის სოფლებში საყურადღებო მოვლენის წინაშე ვდგევართ სოფლის მეურნეობით მცხოვრებთა შორის დაქირავებულ მუშათა რიცხვი უდრიდა:[45])

1870 წელს—49%
1880 „ —43 „
1900 „ —35 „

გერმანიის კაპიტალიზმის ოქროს ხანა, მთელი მესამედი საუკუნისა ჩვენ გვიმტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობის გზას არავითარი ნათესაობა არ აქვს მრეწველობის გზასთან, რომ შეიძლება იგივეობას ვხედავთ აქა-იქ ფორმებში, გარეგნულ სახეებში, მაგრამ არსებითად სოფლის ცხოვრების კანონი სხვაა ვიდრე ქალაქისა. დაქირავებული ძალის შემცირება სოფლად, როდესაც წარმოება ფართო ხასიათს იღებს—ეს სრულიად არ ეგუება იმ ფილოსოფიას, რომელიც მარქსმა სარჩულად დაუდო კაპიტალიზმს. უფრო ახალი დროის სინამდვილეც გვიხსნის იმასვე, რასაც გვიჩვენებდა გერმანიის მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების ცხოვრება. რიცხვი სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა გაიზარდა, თუმცა დასამუშავებელი მიწის რაოდენობა რამდენადმე შემცირდა. ითვლებოდა

| | სამეურნეო დაწეს | ჰექტარი |
|---|---|---|
| 1882 წელს | 5276344 | 31868972 |
| 1907 „ | 5736082 | 31834873 |

წვრილ მეურნეთა შედარება და წილი დანარჩენებთან შეადგენდა 1907 წელს:

| | | |
|---|---|---|
| —1 ჰექტარიანი | | 2731055 |
| 1—10 | „ | 3006529 |
| 10—100 | „ | 674932 |
| +100 | „ | 23566 |

აქედან ნათლად ვხედავთ, რომ გერმანია ამ ჟამად უმთავრესად წვრილი სამიწათმოქმედო ქვეყანაა, სადაც აგრიკულტურა, მეცნიერული მეურნეობა თან და თან განვითარებულა წვრილ შეძლების, ესე იგი შრომის წარმომადგენელთა ხელში. აუღიათ ტონი:

| | 1900 წელს | 1911 წელს |
|---|---|---|
| ჭვავი . | 8,162.660 | 10.511.160 |
| პური . | 2.498.851 | 3 861.479 |

თითოეული ჰექტარი იძლეოდა ორმ. ცენტრებს:

| | ჭვავს | პურს | ქერს |
|---|---|---|---|
| 1901 წელს | —14,0 | 15,8 | 17,2 |
| 1903 „ | —16,5 | 16,7 | 19,5 |
| 1905 „ | —15,6 | 19,2 | 17,9 |
| 1907 „ | —16,1 | 19,9 | 20,6 |
| 1909 „ | —18,5 | 20,5 | 21,2 |
| 1910 „ | —17,0 | 19,9 | 18,5 |

კიდევ უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ თუ რომელი სახის მეურნეობა იძლეოდა მეტ შემოსავალს მოვიყვანთ ოგანოვსკის მასალას. იქ, სადაც მეურნეობა ჩვეულებრივად განვითარებულია ჰექტარზე მოდიოდა ტონა, პრუსიაში[46])

| მოსავალი | | ჭვავი | შვრია |
|---|---|---|---|
| 4,35 ჰექტ. | — | 1,27 | 1,34 |
| 4,35—8,70 | „ | —1,05 | 1,25 |
| 8,4—13,05 | „ | —0,96 | 1,05 |
| +13,05 | „ | —0,83 | 0,80 |

დაახლოვებით ასეთია საქმის მდგომარეობა ბავარიაში, ბადენში და სხვა ქვეყნებში. ყოველივე ეს გვიჩვენებს განსაცვიფრებელ სინამდვილეს: წვრილი მეურნეობა ხდება კულტურის და ღონის მაჩვენებელი, მსხვილი მეურნეობა კი დაცემის და დაუძლურების. ესე იგი სოფლის კულტურის ტენდენცია, სახე, ფორმა სულ წინააღმდეგია და სხვაა ვიდრე ინდუსტრიის კულტურის ტენდენცია, სახე და ფორმა. ასეა არა მარტო რუსეთში, ფინლიანდიაში, ჰოლანდიაში და გერმანიაში, რომელთაც ჩვენ რამდენადმე შევეხეთ. ასეთი სურათი იშლება საზოგადოდ ყველა ქვეყნის სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, რასაც სოფლის ეკონომიკის მოძრაობის **კანონი** შეიძლება უწოდოთ. საფრანგეთის ცხოვრებიდან ედ. ბერნშტეინს მოჰყავს ძველი, 1882 წლის ცნობა—მაშინ სოფლის მეურნეობის ძალთა განწყობილება გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში: *)

| | სამეურ. ერთ. რიცხ. | ეჭირათ | |
|---|---|---|---|
| — 1 ჰექტ. | 2167767 | 1083833 | ჰექ |
| 1—10 | 2635030 | 11366274 | „ |
| 10—40 | 727088 | 14845650 | „ |
| 40—100 | 113285 | 22266104 | |
| 100—200 | 20644 | | |
| 200—500 | 7942 | | |
| +—500 | 217 | | |

მეოთხმოცე წლებშიაც—როგორც ვხედავთ—საფრანგეთის სოფლის მეურნეობას უმთავრესად წვრილი წარმოების ხასიათი ქონდა, მარტო 10 ჰექტარამდე, რაიცა პარტელიარულ მეურნეობის სახეს წარმოადგენს—22 მილიონ ჰექტარამდე ადგილი ეჭირა, რაიცა შეადგენს მთელ საწარმოვო მამულის 46 პრ. საფრანგეთი არ არის სოფლის მეურნეო-

*) იხ. [illegible] გვ. 676.

**) იხ. ბერნშტეინი „სოციალური პრობლემები", გვ. 126—127.

[44]) იხ. ჰერცი „აგრარული საკითხები გვ. 157.

[45]) იხ. დავიდის დასახელებული თხზ., გვ. 50.

[46]) იხ. ოგანოვსკის დასახ. თხზულება გვ. 282.

*) ბერნშტეინი, „სოციალური პრობლემები" გვ. 125.

ვურის ორივე მხრით. ბაპომის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ, ვილერზე რომ იყო მომართული სომას ჩრდილოეთით მტერი შევაჩერეთ. იგი დიდი ძალებით შეტევას ამზადებდა სელი-სონ პიერ ვესტფალის ხაზით და ბუშევენის, მონ-სენ კანტენის სამხრეთით პერონი მტერმა აიღო. ნელის ორივე მხრით ფრანგები ცეცხლს ამოეფარნენ და ძლიერი ქვეითა ჯარი სცდილობდა ჩვენს ბანაკში შემოჭრას არხთან. ჩვენმა სათადარიგო ქვეითა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. ჰესენის ნაწილებთან ერთად მტერმა იერიშები განაახლა. ჩვენ იგი მოვიგერიეთ და მისი პოზიციებიდან გავრეკეთ. საველე არტილერიაც იღებდა ომში მონაწილეობას. ნელ-გამის რკ. გზით ბრანდებურგისა და ბლეზვიგას ნაწილებმა მტერი მისი პოზიციებიდან განდევნეს. ლიპერმონის სამხრეთით მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ საღამოთი. ნუაიონის ორივე მხრით მტრის ქვეითა ჯარს მძიმე ბრძოლების შემდეგ მოქმედება აღარ განუახლებია. აგრეთვე უახსა და ენს შუა ბრძოლა საარტილერიო შეტაკებებით განისაზღვრა. მტრის ნაწილობრივი იერიშები მდ. ელეტის რაიონში სუასონის ჩრდილოეთით ყველგან მოვიგერიეთ.

**ბერლინი** 9—2. საღამოს ცნობა. ინგლისელები შეტევას აწარმოებენ სკარპსა და სომას შუა. არასის სამხრეთ აღმოსავლეთით და პერონის ჩრდილოეთით იგინი ადგილ-ადგილ გამაგრდნენ მაგრამ შემდეგ კონტრ-იერიშების საშუალებით იგინი მოვიგერიეთ ბაპომის ორივე მხრით. უახსა და ენს შუა ძლიერი იერიშები დაიწყეს ფრანგებმა.

**ბერლინი**. 9—3. უახსა და ენთან მოტანილ იერიშების შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც მტერი დამარცხდა. გენ. მანგენი იძულებული იყო უარი ეთქვა თავის განზრახვაზე—გერმანელების ხაზები გაერღვია—და შესდგომოდა თავის ჯარის თავმოყრას და დალაგებას. ამ დღეს დატყვევებულნი აჭრელებულ ბრბოს წარმოადგენდნენ, იქ არიან ფრანგები და ამერიკელები რამდენიმე ასეული, ათი სხვა და სხვა დივიზიდან. ამ დროს კი გერმანელებმა შეუმჩნევლად და წესიერად ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით დაიხია, სუასონის მახლობლად. აგვისტოს 30-ს რამდენიმე ადგილს მოიტანა მტერმა იერიშები, მაგრამ ყველგან დამარცხდა.

**ბერლინი**. 9—3. კრონპრინც რუპრეხტისა და ბოინეს ლაშქარი. იპრსა და ლაბასეს შუა ქვეითა ჯარი ბრწყინვალედ იბრძვის ჩვენ ახალ პოზიციებთან. სკარპსა და სომას შუა ინგლისელები განაგრძობენ იერიშებს. არასის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა ახალი საუცხოო ძალები მოიყვანა და დაიპყრო ჩვენი ხაზები. მტერი—დიურის აღმოსავლეთ ნაპირით — კანიკურტის აღმოსავლეთით — ქვერანტის ჩრდილო-დასავლეთით—ნორრეილის ჩრდილო ნაპირით. მტრის იერიში მოვიგერიეთ. მტერი ამაოდ სცდილობდა დიურის მაღლობი გადაელახა და წინ წაწეულიყო კანიკურტის აღმოსავლეთით. მტერმა ბაპომის ორივე მხრით იერიშები მოიტანა, ჯავშნოსნებიც მოიშველია და არტილერიაც. ჩვენ მტერი გავრეკეთ, სომას ჩრდილოეთით ჩვენ დავიკავეთ მაღლობები სეილი-მუასლენ-ეზეკურტ-ლენოს აღმოსავლეთით, პერონის აღმოსავლეთით. ნესლე-ნაგის რკ. გზის ორივე მხრით სათადარიგო პოლკმა ფრანგების იერიშები მოიგერია. ხანგრძლივი საარტილერიო მზადების შემდეგ ფრანგებმა მაროკოელებისა და ამერიკელების დახმარებით შემოგვიტია უახსა და ენს შუა. ჩვენ ცეცხლის საშუალებით მოვიგერიეთ მტერი, რომელიც პიერემონტისა და ფოლმბრეის მიმართულებით მიიწევდა ელეტის ჭალის მხრით. კუსი-ლებატოს აღმოსავლეთით ტყიან სექტორებში მტერმა უკან დაახევინა ჩვენ მოწინავე ნაწილებს ელეტიდან. ელეტსა და ენს შუა მტრის იერიშები დამარცხდა.

საჰაერო ბრძოლაში გუშინ მტრის 13 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**პარიზი** 8—3. ფრანგების ჯარმა სომა გადალახა ნანკურტის პირდაპირ. შემდეგ სამხრეთით ფრანგების ჯარი სოფ. პევრში გამაგრდა, ჩრდილოეთ არხის აღმოსავლეთით და 200 კაცი დაატყვევეს. ნუაიონის აღმოსავლეთით ფრანგებმა ბრწყინვალე მოქმედება გააჩაღეს და ხოლენსის განაპირა ნაწილებს მიაღწიეს. ელეტსა და ენს შუა ფრანგებმა რამდენიმე ასეული კაცი დაატყვევეს. უნაყოფოდ ჩატარდა გერმანელების აგრესიული ნაბიჯები ვილიუს სექტორში.

**ბერლინი** 9—3. საღამოს ცნობა. სკარპსა და სომას შუა სიწყნარეა. ნუაიონის ორივე მხრით ფრანგებმა ნაწილობრივი იერიშები მოიტანეს, ელეტსა და ენს შუა ახალი ბრძოლა გაჩაღდა.

## ბაქოს ამბები

(ლაპარაკი რადიოთი)

1

**ბაქო, „დაშნაკცუთიუნის" ცენტრალურ კომიტეტს.** „საქართველოს მთავრობა გვაცნობებს, რომ ბაქოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთ სდევნიან. „დაშნაკცუთიუნის" ცენ. კომიტეტი საქართველოში სთხოვს ამხანაგებს ყოველივე ზომა მიიღონ აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებით, სადაც ჩვენი წარმომადგენლებიც შედიან, რათა ჩვენ მეზობელ რესპუბლიკის მოქალაქეთ ამ გვარად არ მოეპყრან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ურთიერთობა საქართველოს საზღვრებში შეიძლება გართულდეს. ცენტრალური კომიტეტი გთხოვსთ რადიოთი გვიპასუხოთ.

**მ. არზუმანოვი.**

2.

**ბაქო. აღმ. კომიტ. თავმჯდომარეს.** მე გახლავარ ბაქოს დელეგაციის წევრი სომხის ეროვნულ საბჭოსაგან. მოვემგზავრებოდი ბაქოში სომხის ეროვნულ კომიტეტთან სპეციალური მისიით.

გთხოვთ მაცნობოთ—არსებობს თუ არა სომხის ეროვნული კომიტეტი და ვინ არის მისი თავმჯდომარე! შემიძლიან თუ არა რადიოთი გამოველაპარაკო?

ორ კვირაზე მეტია ვერ მოვახერხეთ უგზოობის გამო ბაქოში წასვლა, გვაცნობეთ როგორია ქალაქის მდგომარეობა ვშიშობთ, რომ თქვენ ინგლისელებს აჰყვებით და ბაქოს სომხებს დაჰღუპავთ. თუ თანახმა ხართ და მიიღებთ სამშვიდობო დელეგაციას, გამოვემგზავრები აზერბეიჯანის და ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად. ველი პასუხს.

სექტემბრის 1. **მ. არზუმანოვი.**

—

**პ ა ს უ ხ ი**

**ტფილისი. სომხების კომიტეტი, მ. არზუმანოვს, ა. ლი—ისიდორე რამიშვილს**, განვიხილეთ სექტემბრის 1-ს გამოგზავნილი თქვენი დეპეშა და შესაძლებლად ვსცანით თქვენი წინადადება მივიღოთ. გთხოვთ მობრძანდეთ ბაქოში ისიდორე რამიშვილთან და სხვა წარმომადგენლებთან ერთად. სომხის ერ. კომ. თავმჯდომარე გიულხანდანინია. რადიოთი ლაპარაკი შეიძლება. რომ გამოხვალთ, შეგვატყობინეთ.

გადაეცით ის. რამიშვილს—რატომ არაფერს ატყობინებს ბაქოს ქარ. ერ. საბჭოს თავმჯდომარეს ბაქრაძეს მის დეპეშაზე, რომელშიაც იგი სთხოვდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ ბაქოში ბაქოს ქართველებისათვის.

გაუწყებთ, რომ ქართველები ბაქოში არავითარ დევნას არ განიცდიან.

გიცდით აპარატთან.

დიქტატურის თავმჯდ. **ტიუშკოვი.**
დიქტატურის წევრი: **უმანს ი.**

—

უკანასკნელ რადიო-დეპეშების მიღებისთანავე საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ გამოიწვია ბორჯომიდან ისიდორე რამიშვილი, რომელიც ტფილისისაკენ გამოემგზავრა სექტემბრის 2-ს ღამის 11 ს.

—

დეპეშის შინაარსი გადაეცა აზერბეიჯანის წარმომადგენელს მ. ჯაფაროვს, მან ვერ გაბედა დამოუკიდებლად გაეგზავნა აზერბეიჯანის დელეგატები და სასწრაფოდ შეეკითხა თავის მთავრობას განჯაში.

—

ბაქოში შეატყობინეს, რომ დელეგაცია სდგება და როდესაც გაემგზავრება ბაქოსკენ, საგანგებოდ ეცნობებათ.

## ახალი ამბავი

✦ **დანიშვნა.** ქართ. 1 მსროლელ დივიზიის და ქუთაისის გარნიზონის უფროსად დაინიშნა დ. ა. ართმელაძე.

✦ **პროვინციაში გაზეთების მიწოდება.** სასოფლო კომისიამ დაადგინა: აიღოს თავის თავზე პროვინციაში გაზეთების გაგზავნა. განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც რკინის გზა არ არის, მაგალითად დუშეთის მაზრაში.

✦ **მდგომარეობა ბადიაურში.** სას. კომისიამ გაგზავნა თავისი წარმომად გენელი ხარტიშვილი, სოფ. ბადიაურში, სიღნაღის მაზრაში, თათრებსა და ქართველებს შორის მშვიდობიან-დამამყარებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **ზაქათალაში.** ზაქათალიდან მოსული ცნობით, რუსთა ეკლესია მეჩეთად გაუხდიათ, სომეხთა ეკლესია კი—დაუკეტიათ, რომლის მღვდელი უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

✦ **უწესოება სართიჭალაში.** ნ. კარციველმ სასოფლო კომისიას აცნობა: სართიჭალაში მრავალი უწესოება ხდება მაგ. სროლა, მკვლელობაო. ყველა ამას ჯარის-კაცები სჩადიან. ადმინისტრაცია ამ ვერ შესძლო მათ წინააღმდეგ ზომების მიღება.

✦ **სამხედრო საკათედრო ეკლესიის ქონების ჩაბარება.** სამხედრო მინისტრის ბრძანებით გარნიზონის უფროსმა მიანდო საგანგებო კომისიას ეკლესიის ძვირფასი ნივთები დაბეჭდილ იქმნება, დანარჩენს კი მოსამსახურეებს ჩააბარებენ შესანახად.

✦ **სახელმწიფო ავტომობილები** სამხედრო მინისტრმა ყველა ჯარის ნაწილებს ბრძანება გაუგზავნა: ყველა ავტომობილი, რომელიც კი ჯარის ნაწილებს აქვთ საავტომობილო როტას გადაეცითო.

✦ **გაძარცვა.** 3 სექტემბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე გაძარცვეს პირველ დივიზიის ინტენდანტის მწარმოებელი ხოშტარია, გაიტაცეს 250,000 მანეთი. სამხედრო მინისტრის ბრძანებით ხოშტარია შეიპყრეს, რადგან ეჭვია, რომ ამ გატაცებაში მანაც მიიღო მონაწილეობა. სამხედრო მინისტრმა უბრძანა სამხედრო სასამართლოს პროკურორს სასწრაფოდ დაამთავროს ამ საქმის გამოძიება და დამნაშავენი გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

✦ **მიწერ-მოწერა სამინისტროებში,** სამხედრო სამინისტროს საგარეო სამინისტროსაგან მოწერილობა მოუვიდა: დაავალეთ თქვენს განკარგულებაში მყოფ დაწესებულებებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მიწერ-მოწერა ცენტრალურ დაწესებულებათა საშუალებით იქონიონ.

## ჯავახელები

თათრების ურდოთა შემოსევამ უბედურობისა და ტანჯვის ძაძა გადააფარა ჯავახელობას. ხალხი კერიდან აიშალა და უგზოდ და უკვალოდ მოედო საქართველოს მიდამოებს. დოვლათიანი ჯავახელი დღეს უსახლკაროდ არის ქცეული და მშიერ ბავშვებ წამოკიდებული. გაძვალ-ტყავებული და სნეული და მწირიანი, ხელ-გაწვდილი კარ-და-კარ დაიარება. მე ბევრსა ვხვდები ჯავახელებს —ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, ვხვდები ყოველ-დღე, ყოველ საათში სოფლად. ვით დევნილი ებრაელობა, თავს ნაცარ-გადაყრილი და სახეჩამობნელებული, აჩრდილივით დაიარებიან სოფლად, კარიდან კარს და ჩუმად, უსიტყვოდ შველას და დახმარებას გვეუდარებიან. მე პირველად მიხდება ამათი ხილვა და მათთან გამოსაუბრება. გულჩათხრობილნი არიან და ძეხივით მოულოდნელად თავზე დატეხილ უბედურებისაგან ისე გაოგნებული, რომ ლაპარაკის და საუბრის ხალისიც აღარა აქვთ, მოკლედა სჭრიან პასუხს, მაგრამ თითოეული სიტყვა ცრემლსა და ვარამში, ტანჯვასა და უიმედობაშია ამოვლებული. და სხვაფერ ან კი როგორ უნდა ყოფილიყო? ქართველი კაცისათვის განა ადვილია მიატოვოს სახლ-კარი, მამა-პაპათა საფლავი, ოფლით და სისხლით ნარწყავი კარამიდამო, გაიქროს ბუხარში ცეცხლი და მშიერი და შიშველი ცოლისა და შვილის ამარა სხვის კარზე ხელგაწვდილი იარებოდეს? განა ადვილია დღეს მეტადრე, როცა თვითეული ლუკმა პური სისხლშია ამოვლებული, ყველა თავის თავს და ოჯახს დაჰკანკალებს და კრუხივით ეფარება ზევიდან იმას, 1) რაც კვლავ ადვილად გაიმეტებოდა, განა ადვილია ამისთანა დროს სხვას შეჰყურებდე ხელში და მოთმენით ისმენდე ცოლისა და შვილის ვაებას? და ამ ხალხს ხომ დღეს სულის მეტი აღარაფერი გააჩნია? ცა არის იმისი სახურავი და დედა-მიწა საწოლი... მართალია კერა მოემალათ და ბუხარში ცეცხლი გაუქრათ, მაგრამ ხომ ისევ სამშობლოში არიან და მშობელი ერის სიახლოვესა გრძნობენო— ამბობენ ზოგიერთნი. მაგრამ ცარიელი იმედით და იდეით დღეს ნაკლებ იკვებებიან და სამშობლოც ამ გაჭირვებულთ დღეს არაფერს ეუბნება. დღეს ყველას თავის მოვალეობა დავიწყებია და გული ქვად გადაჰქცევია. მაღალი და ლამაზი სიტყვები დავიწყებულა და საკუთარ კეოას დასტრიალებს ყველა უაოეს ძოძავალის მომლოდინე. საერთო მზრუნველი? მზრუნველიც არავინა სჩანს. მთავრობა ისეა დატვირთული, რომ ამათთვის ვერ მოუცლია, საზოგადოება მოღლილა და გულგრილობას მოუცავს და ესოდენი ხალხი უგზოდ და უკვალოდ, ენა-ჩავარდნილი და ცრემლ-გამშრალი დაეხეტება...

ბის განვითარების ტიპიური ქვეყანა. იშვიათი სახელმწიფოა ევროპაში სადაც მეურნეობა ისევეა ერთ წერტილზე გაყინული, როგორც მცხოვრებთა გამრავლების საქმე. მიწის განოყიერებისათვის საჭირო ქიმიური მასალები საფრანგეთში დაუმზადებიათ უფრო ახალი ცნობების მიხედვით ათასი ფუთი:

| | სუპერფოსფატი | ტომას-შლაკი | [illegible] | „სულფატ ამონიაკი" |
|---|---|---|---|---|
| 1909 წ. | 24296 | 28270 | 100236 | 3272 |
| 1910 „ | 20368 | 32606 | 99786 | 3428 |
| 1911 „ | 19063 | 36758 | — | 3735 |
| 1912 „ | 20149 | 41459 | — | 4213 |
| 1913 „ | 20455 | 42742 | — | 4579 |

დასახელებულ ქიმიურ საშუალებათა შორის წარმოების ზრდა ტომას-შლაკის დამზადებას ეტყობა, მაგრამ ამ მასალას უმთავრესად უცხოეთში გზავნის საფრანგეთი. 1912—1913 წლებში ტომას შლაკი 30 ათას ფუთზე მეტი გაუტანია საზღვარ გარედ. თავის მეურნეობის აყვავებისათვის კი დიდ ენერგიას არ ხარჯავს. ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ ხორბლეულობის კულტურაში და მოსავალის რაოდენობაში საფრანგეთი მაღალ, მაგრამ ერთ გაყინულ წერტილზე სდგას. თითო დესიატინაზე მოდიოდა ფუთი:

| | პური | ქვავი | ქერი | შვრია | სიმინდი | კარტოფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1909 წელს | 98 | 86 | 94 | 94 | 88 | 725 |
| 1910 „ | 72 | 61 | 88 | 82 | 82 | 368 |
| 1911 „ | 91 | 68 | 94 | 85 | 67 | 546 |
| 1912 „ | 92 | 69 | 96 | 86 | 84 | 640 |
| 1913 „ | 89 | 71 | 92 | 86 | — | — |

ხორბლეულის ეს უმთავრესი დარგები საუცხოო სისწორით გვიხსნიან ჩვენ საფრანგეთის მეურნეობის უბადრუკობას, არა თუ ერთ წერტილზე გაყინვას, რამდენადმე დაქვეითებასაც. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ საფრანგეთის ხალხის შრომის ინტენსიფიკაცია ხორბლეულობის კულტურიდან გადადის სხვა მაღალ კულტურის დარგებზე. მაგრამ მაღალ კულტურის დარგებშიაც საფრანგეთი ჩვეულებრივ ჩამორჩენის ნიშნებს გვანახებს. თამბაქოს და ვენახს ეჭირა ადგილი და უდრიდა მოსავალი:

| | თამბაქოს დესეტინა | თამბაქოს ათასი ფუთი | ვენახს დესეტინა | ვენახს ათასი ფუთი |
|---|---|---|---|---|
| 1909 წელს | 14031 | 1571 | 1440786 | 412768 |
| 1910 „ | 10905 | 1010 | 1486439 | 231894 |
| 1911 „ | 14363 | 1120 | 1539638 | 363577 |
| 1912 „ | 14129 | 1881 | 1536735 | 480645 |
| 1913 „ | 9381 | 990 | 152?802 | 333809 |

საფრანგეთის მცხოვრებთათვის სოფლის ყოველ ნაწარმოებზე თითქმის მეტი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას, მაგრამ არა თუ წარმატების ნიშნებს არ ვხედავთ ამ უდიდეს სამეურნეო დარგში, არამედ დაქვეითების მოწამენიც ვართ. ასეთი სურათია სხვა სპეციალურ კულტურის სფეროშიაც. 1909 წელში შაქრის ჭარხალს ეჭირა 217 ათასი დესეტინა, 1913 წელში კი 210 ათასი, 1909 წელში აღებული იყო 1.176 ათასი ფუთი ჭარხალი, 1913 წელში კი 1 175 ათასი ფუთი. ჩვენს წინაშე ყველა სამეურნეო დარგის უახლოესი სტატისტიკაა გადაშლილი, მაგრამ ყველა დარგის სურათი ერთნაირია: დაწინაურებას არ ვხედავთ არც ინტენსიურ შრომის სამეფოში და არც ექსტენსიურ შრომის დარგში. პირუტყვის შესახებ სტატისტიკურ ცნობებს აქ აღარ შევეხებით. ეს იქნებოდა უბრალო გამეორება იმ სინამდვილისა, რომელიც მოყვანილმა ციფრებმა ზევით დაგვანახეს. ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის ევოლიუცია მარქსის კანონის მსგავსად საფრანგეთში სრულებით არ მომხდარა თუმცა მეურნეობა ერთ წერტილზეა გაყინული. მაშინ, როცა მეურნეობის ინტენსიფიკაცია ვითარდება და მეურნეობა დიდი ფაქტორი ხდება ეკონომიურ ცხოვრებაში ჩვენ დავინახეთ დეცენტრალიზაცია კაპიტალისა და წვრილი მეურნეების გამარჯვება. მაგრამ დეცენტრალიზაცია მაშინაც ხდება, როდესაც სოფელში წარმოება ერთ წერტილზე სდგას. ეს კი გვიმტკიცებს, რომ შრომის უფლების ნიადაგზე აღმოცენებული მეურნეობა გამძლეა ყოველ შემთხვევაში და მისი ძალა სოფლის ძალთა მოძრაობის კანონია. ოგანოვსკის მოჰყავს 1882 წლის ცნობა და შემდეგ უფრო ახალი დროის სტატისტიკური მასალა წვრილი მეურნეობის განვითარებისა საფრანგეთში და ჩვენც მოვიყვანთ ამ მასალას, როგორც ილიუსტრაციას ჩვენ მიერ ნათქვამისა. ოცდაათი წლის განმავლობაში, როდესაც მოხდა დიდი ცვლილებები მეურნეობაში და როდესაც გადატრიალდა აღებმიცემობის ყოველი პირობა სოფელში ეჭირა მეურნეთა შორის პროცენტებით *):

| | (წვრ.) 10 ჰექტარამდე | (საშ.) 10—40 ჰექტ. | (მსხვ.) ≥40 ჰექტარამდე |
|---|---|---|---|
| 1862 წ. | 75,4 | 19,8 | 4,8 |
| 1882 „ | 84,7 | 12,8 | 2,5 |
| 1892 „ | 85,1 | 12,5 | 2,4 |

ეს ფრიად საყურადღებო ცნობა მშვენივრად გვიჩვენებს, რომ დაბეჩავებულ საფრანგეთის მეურნეობასაც კაპიტალისტური წყობილება ვერ აცოცხლებს და მეურნეობის მთელი ძალა წვრილ მუშაკთა ხელში არის. ასეთივე სურათი გვეშლება მიწის მფლობელობაშიაც. მიწის მთელი რაოდენობისა ეჭირა:

| | წვრილებს | საშუალოსა და მსხვილებს |
|---|---|---|
| 1882 წ. | 25,1% | 74,9% |
| 1892 „ | 25,5 „ | 74,5 „ |

მაშინ, როდესაც წვრილმა მეურნეებმა შეიძინეს ათი წლის განმავლობაში 0,4% მიწა, საშუალო და მსხვილმა მეურნეებმა ერთად დაჰკარგეს 0,4%.

საფრანგეთის ცხოვრება ტიპიურია ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, რომლის კაპიტალიზმი დინამიურ ენერგიას ვერ იჩენს. ასეთ ქვეყანაშიაც ჩვენ ვხედავთ წვრილ მეურნეობის ძალას, სადაც შრომის დაძლევა ვერ მოუხერხებია მსხვილ მეურნეობას და კაპიტალიზმს. სამეურნეო კულტურის დახასიათებას არ გამოუდგებით პაწია ქვეყნებში, ბელგიის, დანიის, შვეიცარიის და იტალიის შესახებ აქა-იქ მოვილაპარაკებთ სადაც უფრო საჭირო და საინტერესო იქნება მათი ცხოვრება. ამ ქვეყნებში ყველასათვის ცნობილია წვრილი მეურნეობის თან და თანი გავრცელება და ძლიერება. ამიტომაც ითვლება ისინი წვრილ მეურნეობის სამეფოებად. რამდენიმე სიტყვით მხოლოდ ამერიკას შევეხებით, სადაც თანამედროვე მეურნეობა თითქმის ყველაზე უკეთეს პირობებშია ჩაყენებული. ამ ქვეყანამ არ იცის მთელი რიგი იმ სიდუხჭირეთა, რომლის წიაღში ევროპის ქვეყნების სამეურნეო ფორმები ხშირად ზნიქავდნენ წელებს. კაპიტალის ძლევა-მოსილ განვითარებას არა თუ ვინმე ხელს უშლიდა, პირიქით ყველაფერი ხელს უწყობდა. განვითარებული მოქალაქენი, აურაცხელი ფული და სამეურნეო იარაღი, დიდძალი მამული და ფართო ბაზარი—შეუდარებელ პირობას წარმოადგენს კაპიტალიზმის გამარჯვებისათვის, კაპიტალის კონცენტრაციისათვის. ვნახოთ რა სურათს გვიჩვენებს დიდებული ამერიკა?

**თედო ღლონტი.**

*) ოგანოვსკი, დასახ. თხზ. გვ. 257.

დიდი, ძალიან დიდი უბედურება და გაჭირვება გამოუვლიათ გამოქცევის დროს. აიშალენით და გაიქეცითო—ეს ხმა ელვის სისწრაფით გავარდნილა ვინ იცის ვისგან და ზოგს კარის გამოხურვაც ვერ მოუსწრია, ისე გამოქცეულა. ავადმყოფები შევუდეთ ურმებზე და გამოვეშურეთ. ბავშვებს ვეხვეწებოდით უკან არ მიიხედოთო... გვეშინოდა არ შეჰშინებოდათო — მიამბობენ. ბევრს დაუმარხია გზად შვილი, დედა, ძმა, ნათესავი... ბევრი სიცივეს ამოუჟლეტია, ბევრი სიმშილის მსხვერპლი გამხდარა, ბევრი შეუწირნია სხვა ავადმყოფობას... ბევრი ვიში დახარჯულა და ცრემლი დაღვრილა...

ახალქალაქის სოფლებიდან გამოქცეულნი ძალიან ემდურებიან სომხებს. ომის მიზეზად მთლად იმათა სთვლიან; თათრები (ქართვ. მაჰმადიანებსაც ასე ეძახიან ს.-გ.) მშვიდი ხალხია, ძმურად და მეგობრულადა ვცხოვრობდით და ან კი რა გვქონდა ერთმანეთში გასაყოფი. არ მოისვენეს მხოლოდ სომხებმა. ჯგუფ-ჯგუფად ეცემოდნენ თათრებს, აწიოკებდნენ, სდევნიდნენ, ავიწროვებდნენ... თათრები ძლიერ ბევრს ითმენდნენ. ეუბნებოდნენ—კაცო, რა გინდათ ჩვენგან, რა გვაქვს გასაყოფი ერთმანეთში. ვიყვეთ ძმურად და ვიცხოვროთ მეგობრულადო. მაგ. სომხები რაკი თავისას არ იშლიდნენ და უფრო გათამამდნენ, თათრებმაც ხელი გამოიღეს. სომხების ბრალია, თორემ ჩვენ ეხლა ისევ ჩვენს ალაგზე ვიქმნებოდით. თვით ჩვენც ძალიან გვაწუხებდნენ სომხები მოგვეხმარეთ, დაჰკარით თათარს, თორემ ომს გამოგიცხადებთო...

თვალზე ცრემლით იგონებენ ჯავახელნი თვის კარ მიდამოს და ნათეს ველმინდორს. იმდენი პური ჩვენ არასდროს დახვითესია, რამდენიც ეხლა დავთესეთ. თითქოს გაიგოო იმ რჯულ გაყიდულმა თათარმა, გამოეშურა და დაეპატრონა. რომ მოვრბოდით, ყანები ავ თვალს არ ენახვებოდა, კაცი დაიმალებოდა შიგან. ნათესი იმედოხივე დარჩა, რომ თათარს საშვილი-შვილოდ ეყოსო.

დღევანდელი ამბების ვითარება ნაკლებ აქვთ წარმოდგენილი. რა მოხდა ან რა ხდება, არ ვიცით ჩვენა. ვიცით რომ ხეშწიფე აღარ არის და „არეულობაა. რა კეთდება, რა არის ეს პარტიები ან ვინ ვისა სჯობია, არა ვიცით რა; მოქადაგენი ჩვენსა მოდიოდნენ, სომხებთან სულ სომხები დაიარებოდნენ, ჩვენთან—ქართველები. კენჭის მიცემა რომ იყო, სომხებმა სულ ერთიას მეოთხე ნომერს მისცეს ხმა. ჩვენ—პირველ ნომერს. ასე გვეუბნებოდა ჩვენი მასწავლებელი ზედგინიძე—პირველი ნომერი ქართველებისაა, ვინც ქართველი ხართ, უნდა პირველ ნომერს მისცეთ ხმაო და და ჩვენც მივეცით, თუმცა მერმე იძახოდნენ, მოვტყუვდით, პირველი ნომერი. არ ვარგებულა, რაცლა „ბოლშევიკები“ უფრო კარგია, დიდსა და პატარას ასწორებენო. საერთოდ ერთი პარტია ამას იძახდა, მეორე იმას, ჩვენ კი ვერაფერი გავიგეთ. ე პარტიები რომ არ იყვნენ, კარგია, მაშინ კარგად წავა საქმეო...

დღეს აუარებელი ჯავახელია ბაკურიანის ტყესა და ღრეში შეფარებული. მათ იქ ათასგვარი სენი, სიმშილი და სიცივე ღრღნის და სიცოცხლეს ასალმებს. ძლიერ ბევრია მოფენილი ქართლის სოფლებშიც, მეტადრე სურამის მხარეს და ბორჯომის ხეობისკენ. ძონძებში გახვეულნი და პარკ-აკიდებული, მშიერი და ფეხებ დასისხლებული დადიან სოფლიდან სოფლად და დამათხოვრობენ. ზოგიერთს ბედმა გაუღიმა და მოჯამაგირედ დადგა, მეტი ნაწილი კი ეწევა მათხოვრობას. ხალხის შეწუხება კიდევ არაფერი, ათასგვარი სენი გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეში და ქართველ ერს განსაცდელი უმზადდება.

დრო იყო ჩვენს მთავრობას ამათზე ეზრუნა რამე. მართალია, მოლაპარაკება გამართული ოსმალეთის ჯარის მთავარ სარდალთან მათ უკან დაბრუნებაზედა ისიც შეგვპირდა საქმის კეთილად დაგვირგვინებას, მაგრამ რითი ვერ ვისწავლეთ ჭკუა და ვერ გავიცანით ოსმალეთის მუხანათი პოლიტიკა? რუსებს იმას ვემდუროდით, რომ მუდამ „ზავტრა, ზავტრაო“ გვკვებავდნენ, ოსმალთა „ზავტრა“ უფრო ხანგრძლივი გამოდგა და მათმა დაპირებამ შეიძლება მთელი წელიწადი წამოიკიდოს ზურგზე. ჯავახელთა გასაჭირი კი ითმენს ამდენს? ეხლა კიდევ ზაფხულია, ხალხს რომ გაუჭირდეს ბალახს მაინცა სჭამს და მინდვრად გაათენებს ღამეს, მაგრამ რა ჰქნან შემოდგომა-ზამთარში, რომელიც ახლოვდება და იმედი კი არ მოაქვს არსაიდან? თოვლს ხომ არ დაუწყებს ხალხი ჭამას და ყინულზე არ წამოწვება? ვინ გაუღებს კარს ამ უბედურთ, ვინ მიაწოდებს ლუკმას? მთავრობა კარგს იზამდა დაეჩქარებინა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან მათ უკან დაბრუნების შესახებ და თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, ჯავახელნი დაებინავებინა კახეთის მხარეს იმ სოფლებში, სადაც რუსები მოსახლეობდნენ და ეხლა კი ცალიერია. საჭირო იყო ეს რაც შეიძლება მალე მომხდარიყო ქართველობა ისედაც მცირე ერია და თითებზე ჩამოითვლება. თითოეული ქართველი, მეტადრე ჯანსაღი და შრომის მოყვარე, ძვირფასი უნდა იყვეს ჩვენთვის. ჯავახელნი ფრიად მშრომელი ხალხია და ფრიად ჯანსაღიც. სოფლად წანწალი და მათხოვრობა მათ წელში გასტეხს ფიზიკურად და ზნეობრივადაც კვალს დაამჩნევს. დაჩაჩანაკებული და გაზარმაცებული ხალხი კი საქართველოს ქვა-კუთხედად არ გამოადგება. თუ გსურთ კეთილი ქართველი ერისთვის დროზე მიუჩინეთ ბინა ჯავახელებს, რომ მათ კვლავ ბარსა და გუთანს მოჰკიდონ თვის კურთხეული მარჯვენა...

**სანგანიძე.**

# პურის გარშემო

(წერილი კახეთიდან).

ძნელი წარმოსადგენია რა ხდება ამ ჟამად პურის გარშემო კახეთში. მართალია მოსავალი გვარიანი იყო კახეთში, მაგრამ არც ისეთი, რომ შეეძლოს უმტკივნეულოდ მთელი ტფილისის გამოკვება. ჯერ კალოები არც კი გაილეწათ, რომ დაიწყეს პურის ყიდვა. მერე ვინ არ გინდათ, რომ პურს არა ყიდულობდეს ეხლა კახეთში. ეს სამიწათმოქმედო სამინისტროს წარმომადგენელი ვარო, სასურსათოსი, სამხედროსი, საინდენდანტო, ტფ. ქალაქის გამგეობისა, უცხო ქვეყნების ელჩებისა და კიდევ ვის მოსთვლის. ცალ-ცალკე პურის შესყიდვამ გამოიწვია კონკურენცია და ფასის აწევა. ახლა ამას მიუმატეთ კერძო პირნი და სპეკულიანტები, რომლებიც მთელ კახეთში დამრწიან და ფულს არა ჰზოგავენ პურის შესასყიდად რომ ტფილისში ერთი-ორად მოიგონ-

სწორედ ამისთვის პურის ფასმა პირველშივე საარაკოდ აიწია, კოდი 250 მ. გახდა, მაგრამ ეხლა 300 მან. ნაკლებ ვეღარ იშოვით.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ უმრავლესობა ამათგანი, როგორც სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელნი, ისე კერძო პირნი ე. ი. სპეკულიანტები მიდიან სოფლად, მიაქვთ ჩითი, ტანისამოსი, მარილი, შაქარი და სხვა და სხვა ნივთები და პურზე სცვლიან; ამ გარემოებამ ერთის მხრივ უფრო გააყვირხინა ჩვენი გლეხი და მეორე—ფულის კურსის დაცემას ხელი შეუწყო.

ეხლა ის აღარაფრად აგდებს ფულს და ეუბნება მყიდველს: მოიტათ ჩითი, მარილი, ნავთი და თუ გინდათ გავცვალოთო და ამითაც რომ დაკმაყოფილდება, ახლა იმას მოგთხოვთ რაც ის მოისურვებს, თუ არა და არ მოგყიდით რადგანაც მას ფული არ ესაჭიროება.

მართალია სოფლელთ უჭირთ ეს საგნები, მაგრამ ჩვენ მთავრობას ამ გზით არ უნდა მიეწოდებინა მისთვის. ეს მეტად რთული საკითხია და უმთავრესად ყურადღება სახელმწიფოე-რივ ინტერესს უნდა მიექცეოდა, რომ ხალხის მასსაში ფულს თავის ღირსება და გასავალი ჰქონდა. ჩემის აზრით ამ საგნების ფულზე გასასყიდად საწყობები რომ მოეწყო სოფლად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ამასთან პურიც მარტოდ-მარტო ფულზე უნდა ეყიდნათ და არა ცალ-ცალკე ყველა დაწესებულებას. არამედ ერთ რომელიმე ორგანოს ხელში უნდა მოეწყოთ, ხელოვნურად პურის ფასის აწევის თავიდან ასაცდენად, მხოლოდ შემდეგ განაწილება—ეს ადვილი საქმე იყო.

თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებამ ხომ ფრთები შეასხა სპეკულიანტებს, აქამდე თუ მალვით, ცხენების საშუალებით ტყე-ტყე მიჰქონდათ ტფილისში, ეხლა ვილა დაუშლით. გაჩნდა მრავალი მყიდველი, ყველა ვაჭარმა და მუქთა ხორამ პურის ყიდვა დაიწყეს, დედაკაცებმაც კი ჩარჩობას მიჰყვეს ხელი, ყიდულობენ სოფლად, მიაქვთ ტფილისში და ბრუნდებიან; თვეში რამდენიმე გზას აკეთებენ, თვითონ ჯიბეებს ივსებენ და ფასებს ხელოვნურად სწევენ.

შეიძლება ბევრმა იფიქროს: დაე ფასი დაედოს—გლეხმა ისარგებლოსო, მაგრამ ნურავის ეგონება, რომ სოფლად ყველას პური აქვს გასაყიდი, ხომ არიან ისეთებიც, და არც ძრიელ ნაკლებია ასეთ გლეხ-კაცთა რიცხვი სოფლად, ნამეტნავად ომში ნამყოფნი, რომელნიც გვიან დაბრუნდნენ და ხვნა-თესვა ვერ მოასწრეს, რომ პური სასყიდელი აქვთ ამასთან დედა ქალაქს გარდა რომელსაც უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება, არ უნდა დავივიწყოთ პროვინციის ქალაქებიც, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა შეუძლო კლასს წარმოადგენს და პურის სიძვირე და ოჯახის გამოკვება ძლიერ მძიმე ტვირთად აწვება.

მართალია ძნელია პურის საქმის მოგვარება და ფასების განსაზღვრა, მაგ. თუნდა მტკიცე ფასები დაეწესებინათ და კონტროლი დაენიშნათ, სპეკულიანტები მაინც მოახერხებდნენ პურის გაზიდვას, მაგ. როგორც შარშან ღამ-ღამობით და დღისით კიდევ ღვინის ბოჭკებით გაჰქონდათ, მაგრამ სპეკულიაციას ასე თუ ისე საზღვარი დაედებოდა და ფასების აწევას და პურის გატანას ასეთი მასსობრივი ხასიეთი არ მიეცემოდა.

ამ ჟამად თელავის, წნორის და სხვ. კახ. რკინის გზის სადგურებზე გრძელი რიგი ფქვილის ტომრებისა აწყვია და რამდენიმე დღეა საჭირო რომ ჯერი მოუვიდეს, მაგრამ ფულის სიხარბით გაქლენთილი ჩარჩები მზად არიან დღე და ღამ უყარაულონ, რომ როგორმე ტფილისში ჩაიტანონ და მერე თვითონ იციან.

თავისუფალ ვაჭრობის მაგიერ, გამოვიდა თავისუფალი სპეკულიაცია. ამას და საზოგადოდ პურის საკითხს ეხლავე უნდა მიექცეს ყველას ჯეროვანი ყურადღება, ადგილობრივი ორგანიზაცია იქნებოდა თუ ცენტრის მთავრობა, თორემ შეიძლება მეტად გართულდეს არსებითი პურის საქმე და რაიმე საშველის გამონახვა მერე გვიან იყოს...

**დავიწყებული.**

# ჩვენი მხარე

(ზუგდიდის მაზრა)

უცნაური ამბავი ხდება ყოველგან და ამგვარივე უცნაური ტყვეობა ხვდა წილად ამ პატარა წერილის ავტორს. ერთი დღე, რომელსაც ჩვენი ბატარეა ჯავახეთიდან დაბრუნებული ბორჯომში იდგა დასასვენებლად, ჩვენი ბატარეის უფროს კ. ძ—ს და პირადად მე, მოგვივიდა ისეთი შინაარსის დეპეშა, რომ იძულებული შევიქენი რამოდენიმე დღით მივიღე გადავხვეწებულიყავი. მიძიმდა მოთმოვება იმ ამბავების, რომლებთანაც გატარებია ოთხი თვე ნოტიო ყაზარმაში, გადამიტანია მრავალი გასაჭირი, რომლებთანაც ვყოფილვარ საფრთხის წინაშე. მაგრამ მივდიოდი კი იმ იმედით, რომ რამდენიმე დღის შემდგომ მექნებოდა საშუალება დავბრუნებოდი იქის სამსახურს...

დახეთ უცნაურობას, აგერ ორი თვეა სახლში ვზივარ და ისიც ვერ მომიხერხებია, რომ შევატყობინო სადაც ჯერ არის, ჩემი მდგომარეობა.

მოგახსენებთ იმ დეპეშაზე, რომელიც მე მივიღე და რომლის ძალით შინ გავემგზავრე, თურმე იაკარხაძევი ყოფილა ადგილობრივ „ბოლშევიკების“ მიერ, რომლებმაც იცოდნენ ჩემი ჯარში ყოფნა. მათ იუდასეული ტახჯვა მიუყენებიათ ჩემი მშობლებისათვის, სახლის დაწვას დაპირებიან, დაჯარიმება ხომ მათი ჩვეულებრივი ფანდია ურჩთა წინააღმდეგ და კიდევ ორაირი ხერხი არ გინდათ, რომ მათ ხელში არ იყოს. როდესაც შევეკითხე, რატომ ჩემი გულისთვის მშობლებს აწუხებთ და არ მაძლევთ საშუალებას შევასრულო ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე—მეთქი, მიპასუხეს: „თქვენ მეშობიკების ჯარში ხართ და ამგვარი საშუალებით გვინდა მათი ძალა შევამოკლოთო“. რაღა უნდა ქნა „ძალა აღმართს ხნავსო“, ნათქვამია და მეც ვზივარ სახლში ნება არა მაქვს გავშორდე ჩემს ეზოს, რომ არ გავიტანო ხალხში „მავნე აგიტაცია“.

უბრალო გლეხს რომ შეეკითხო, თუ რატომ არის ის „ბოლშევიკი“, რას ნიშნავს თვით ბოლშევიზმი და რას გამოელის ის იმათგან; გიპასუხებს „ოღონდ მენშევიკები არ იყოს მთავრობა და, სხვა ვიხც გსურთ, ვინაიდან მათ გვიღალატეს და უფსკრულში ჩაგვაგდესო“.

გაბა იმიტომ ჩამოვაგდეთ ნიკოლოზ მეორე, რომ მის ნაცვლად გეგეჭკორი და ჩხეიძე დავსვაო.

მათ წინდაწინ აქვს დაზეპირებული ფრაზა; „ისინი ბურჟუები არიან“. ასეთი არის პოლიტიკური შემეცნება ყველა სოფლელისა, ამგვარი აზრის ხალხთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება რუსეთის საკითხს, ხალხი აღელვებულია ჩვენი რესპუბლიკის გამოცხადებით. „ჩვენ არ შეგვიძლია ურუსეთოდ ცხოვრებაო“. თქვენ წარმოიდგინეთ გლეხს ვერ დაარწმუნებთ იმაშიც, რომ გერმანელი ჯარი ტფილისში ჩვენი მთავრობის განკარგულებაში არის.

რაც შეეხება კერძო სოფლის მოქმედებას უცნაურობამდის მიიყვანს ადამიანს. ასეთი კურიოზული მაგალითი ვიცით.

პეტრე-პავლობის დღეს წირვის შემდეგ, როცა ხალხი იშლებოდა მობრძანებულა ეკლესიაში რამოდენიმე „კეთილი ადამიანი“, და უბრძანებია მღვდლისათვის მეორეჯერ შეესრულებინა წირვა, ვინაიდან ადრე გაგითავებია წირვაო. რამოდენიმე შეგნებული ადამიანის წყალობით, თორემ ბეჩავი მოძღვარი იძულებული იქნებოდა დაყოლოდა შეუგნებელ „ბრბოს“ სურვილს.

ხალხი მოწამლულია დღეს, მიილტვის უკულტურობისაკენ. იგი იბრძვის სამკითხველოს, კოოპერაციის და წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ჩვენ სოფელ №-ში იძულებული შევიქენით დაგვეხურა სამკითხველო ვინაიდან „თქვენ, ნასწავლნი ავრცელებთ ცრუ ხმებს“-ო.

ერთი გიმნაზია დამთავრებული ქალი ჩამოვიდა მიასთან რამოდენიმე დღით, მაგრამ როცა მოინდომა წასვლა ზუგდიდში, გზიდან დააბრუნეს. ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება გადაგითვალოთ, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ ადამიანმა წარმოიდგინოს ჩვენი მაზრის ბეჩავი მდგომარეობა.

ერთი დრო შეწყვეტილი იყო საომარი მოქმედება და მოლაპარაკება იყო შეიარაღებულ „ბრბოს“ და მთავრობას შუა. მაგრამ რამოდენიმე „ნაპრისტავალ“ არხი-რეაქციონერის წყალობით საქმე უნაყოფოდ ჩატარდა. ხალხმა იარაღის აყრა არ ისურვა და არც ისურვებს, თუ არა ნახა მთავრობის ხელში საგრძნობი ძალა.

ეხლანდელი ნაბიჯი მთავრობისა უნდა იყოს იარაღის აყრა ხალხისათვის; შემდეგ ერთნაირი რევოლიუციონური აღზრდა, არ უნდა ვუჩვენოთ გლეხებს დევნა, როგორც ამას არჩევნების დროს პირველი № ის აგიტატორები სჩადიოდნენ ვინაიდან ყოველთვის უნდა გვქონდეს სახეში, თუ რა კულტურის ხალხთან გვაქვს საქმე და ამ პერიოდში საჭიროა ფრთხილი და სინიდისიერი მუშაობა და არა სიაინი და გაუგებრობა, რასაც სჩადიოდნენ მოუმზადებელი „მარტის რევოლიუციონერები“.

**ორიგინალური ტყე.**

გამომცემელი
სამხონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის; ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს დილით 11—1 ს, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2120

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყაზბეკის ქ. № 6.

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო-სააკაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ეოვების მოედნის ახლო ტელ. 14—74. 1087

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო საშობიარო განყოფილებით. დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

**ექიმი** ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი. 1002

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე ... დე, მიხეილის პროსპექტი 118

**ექიმი** კ. ტუხარელიშვილი ლებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა. კერძო სამკურნალო მიხაილის პროსპექტი № 167 ...

ქუთაისში

**ექიმი** ვ. ძორძაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი დფილისის და ... ბურგის ქუჩების კუთხე. 51

**ექიმი** ე. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7.

**კბილისა კონსტანტინე ...ძე ...ზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 121...

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (მეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის ... სახევარი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № ... 4...

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** ი. კ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ... მყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტროდიდის ქ № 26. ტელ. 5—35. 1270

**საწერი მანქანები**

ქართული და რუსული შრიფტით იყიდება. იქვე ასწავლიან ქართულ მანქანაზე მუშაობას. მიიღება, რუსული შრიფტიანი მანქანა ქართულ შრიფტზე გადასაკეთებლად 934

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 774

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ... ლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ვ. აგასაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი